სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №07/18

ქ. რუსთავი 27 სექტემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის კახა ბარათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ალთერ ვიჟენ გრუპი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ ზაუტაშვილის სახით, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან (2011 წლის 14 სექტემბრის №14/09/08 განკარგულება) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე"- „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5„მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 2011 წლის 15–16 ოქტომბერს „რუსთავქალაქობა 2011"–სათვის Lou Bega–ს კონცერტის ჩატარების ორგანიზება. (CPV79900000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 წინასწარი ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50 %-ის ოდენობით, მხოლოდ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის საფუძველზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის სოციალური მომსახურების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს „ალთერ ვიჟენ გრუპი"-ის დირექტორი ნიკოლოზ ზაუტაშვილი.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა;
- „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

6. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის ვადაა: 2011 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით.

6.2 მომსახურების გაწევის ადგილად განისაზღვრება ქ. რუსთავი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ველდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების სრულ და ჯეროვნად გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

გ) უზრუნველყოს: არტისტის დაჯავშნა/ჰონორარი, ფრენით უზრუნველყოფა, კონცერტის ორგანიზება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის სოციალური მომსახურების, კულტურისა და სპორტის სამსახური. (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,1%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **1%**, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„ შემსყიდველი"	„ მიმწოდებელი„
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი მის: ქ.რუსთავი, მკოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი № 216433287 სს „ლიბერთი ბანკი" ბ/კ № LBRTGE22 ა /ა № GE78LB0125148543037000	შპს „ალთერ ვიჟენ გრუპი" მის: ქ.თბილისი, ი. აბაშიძის 46 საიდენტიფიკაციო კოდი №404860860 სს „საქართველოს ბანკი" ბ/კ № BAGAGE22 ა /ა № GE86BG0000000955687300
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:	შპს „ალთერ ვიჟენ გრუპი" -ის დირექტორი:
კახა ბარათაშვილი	ნიკოლოზ ზაუტაშვილი

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: მაია ნეფარიძე